გესმის ლოცვისკენ მოწოდება(აზანი)?» მან თქვა: დიახ, შუამავალმა უთხრა: «მაშინ უპასუხე მას

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა ერთი ბრმა კაცი და უთხრა: ო, ალლაჰის შუამავალო, მე არ მყავს არავინ ვინც მეჩეთამდე მომიყვანდა, და სთხოვა ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ მისთვის ნებართვა მიეცა ლოცვა სახლში შეესრულებინა, და მან მისცა მას ნებართვა. როცა გაბრუნდა და წასვლა დააპირა დაუძახა მას და უთხრა: «გესმის ლოცვისკენ მოწოდება(აზანი)?» მან თქვა: დიახ, შუამავალმა უთხრა: «მაშინ უპასუხე მას».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა ერთი ბრმა კაცი და მას უთხრა: ო, ალლაჰის შუამავალო, მე არ მყავს არავინ, ვინც დამეხმარება, მომკიდებს ხელს და მომიყვანს მეჩეთში ხუთი დროის ლოცვაზე, მას უნდოდა რომ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მისთვის ჯგუფური ლოცვის მიტოვების ნებართვა მიეცა, თავდაპირველად მისცა მას ნებართვა, მაგრამ როცა გაბრუნდა მას დაუძახა და ჰკითხა: "გესმის აზანის მოწოდება ლოცვაზე?" თქვა: დიახ, შუამავალმა თქვა: "მაშ უპასუხე ლოცვაზე მომხმობს".

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/11287